ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №7

ქალაქი ქუთაისი
30 ნოემბერი, 2018 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბიროს დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
4. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
6. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
7. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
8. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
9. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
10. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
11. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
12. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
13. ბენია თხილავა - მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ "ინტელექტი"-ს პრეზიდენტი;
14. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 14, 7 არ ესწრებოდა, სხვადასხვა მიზეზის გამო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი; ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი; მამუკა კუბლაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

საბჭოს სტუმრობდნენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კორუფციასთან ბრძოლის პროგრამის წარმომადგენლები: ოლივია ბაკიუ, ანა ვასილაჩე, გვანცა ირემიშვილი, ეკა დგებუაძე, ნათია ფირაშვილი.

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ ექსპერტები გარემოს დაცვის საკითხებში: ქეთევან ცხაკაია, თეიმურაზ კეპულაძე, რამაზ კილაძე, ირინე ლომინაძე.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომელშიც წევრებმა შეიტანეს ცვლილებები და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. სხვადასხვა:

- ქეთი ბერძენიშვილი - თეთრი ხიდისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე განცხადება;
- ხვიჩა ვაშაყმაძე - ქალაქის იერსახე და ფასადების თვითნებურად შეღებვა-შეკეთების საკითხი;
- ლევან როხვაძე - თეთრი ხიდის და ჯაჭვის ხიდის მდგრადობის საკითხი;
- თეონა გოგიშვილი - გიგა მელქაძის ინიციატივა ზვიად გამსახურდიას იუბილის აღვნიშვნასთან დაკავშირებით;
- გაეროს განვითარების პროგრამის, კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში წარმომადგენელთა გამოსვლები: ოლივია ბაკიუ, ანა ვასილაჩე, ნათია ფირაშვილი

4. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი პროექტის დოკუმენტის განხილვა - მომხსენებელი - დავით სინაურიძე (ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). მოწვეული ექსპერტები: რამაზ კილაძე, ქეთევან ცხაკაია, თეიმურაზ კეპულაძე, ირინე ლომინაძე.
5. მოქალაქეთა ფორუმი: ნოდარ ჯიქია: მოხსენება საბჭოს წევრებისთვის ფორუმის თაობაზე და მიღებული შედეგების შესახებ. განხილული იქნება ფორუმზე შემოსული მოქალაქეთა ინიციატივები. მათ შორის მოქალაქის რუსუდან იმედაძის საკითხი.

6. მოქალაქეთა ინიციატივები, volis.ge - ნუგზარ კოხრეიძე წარუდგენს საბჭოს სამ შერჩეულ ინიციატივას, რომელსაც მათი გადაეცემა მერიას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.
7. თეთრი ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მოქალაქეთა რეკომენდაციები შენიშვნები, დოკუმენტის წარდგენა - ნუგზარ კოხრეიძე.
8. სოციალური პროგრამების ანალიზი და რეკომენდაციების პრეზენტაცია - ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი
9. ნინო თვალთვაძე - ქუთაისის მერიის ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე გაცემული რეკომენდაციების გაცნობა.
10. 2019 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების პროექტის გაცნობა საბჭოს წევრთათვის - მომხსენებელი დავით ნიშნიანიძე (საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი).
11. ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების ფორმირების ინიციატივა - ნუგზარ კოხრეიძე.
12. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების აღსრულების ეფექტურობა და შედეგები - ინიციატორი ქეთევან ბერძენიშვილი.
13. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

ქეთი ბერძენიშვილი (საბჭოს წევრი) - აღნიშნა თეთრ ხიდთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები და რომ აღნიშნული შეცდომები ფრაზებში და ტექსტებში არის იმ ნაწილში, რომელზედაც საბჭოს არ გაუცია რეკომენდაცია. ასევე, აღნიშნა რომ მერიის მიერ დაშვებული შეცდომების გამო ხშირად არის გადაჭარბებული კრიტიკის ობიექტი და მოუწოდა მერიას იმოქმედოს უფრო დახვეწილად და სწორად.

ხვიჩა ვაშაყმაძე (საბჭოს წევრი) - დაეთანხმა ქეთი ბერძენიშვილს და აღნიშნა ქალაქის იერსახის დამახინჯების ფაქტები. მოიყვანა კონკრეტული მაგალითები.

გიორგი ჭილვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი) - სთხოვა კეთილმოწყობის სამსახურს დაეზუსტებიათ კონკრეტული შემთხვევა და მოეხდინათ კანონით გათვალისწინებული რეაგირება.

ლევან როხვაძე (საბჭოს წევრი) - დაინტერესდა რამდენად მდგრადია თეთრი და ჯაჭვის ხიდები.

გიორგი ჭილვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი) - აღნიშნა, რომ თეთრ ხიდთან დაკავშირებით მოხდა შესწავლა და დადასტურებულია, რომ მდგრადია, რაც შეეხება ჯაჭვის ხიდს შეისწავლის საკითხს და მიაწოდებს ბატონ ლევანს პასუხს.

გიორგი ჭიღვარია (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი) წარუდგინა საბჭოს ცენტრალური ბაღის რეაბილიტაციის პროექტების მონახაზების ესკიზები.
საბჭოს წევრებმა გამოთქვეს რიგი მოსაზრებები და მიმართეს მერს რეკომენდაციით, რათა საბოლოო გადაწყვეტილებამდე მოხდეს პროექტის საზოგადოების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა, მსჯელობა და მათთან შეჯერება, რაზედაც ქალაქის მერი დაეთანხმა საბჭოს.

თეონა გოგიშვილი (საბჭოს წევრი) - წარადგინა მოქალაქე გიგა მელქაძის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა: საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად ქალაქში დაიდგას მისი ძეგლი (ბიუსტი), შესაძლო ადგილი: კიკვიძის ძეგლის ნაცვლად და წინამდებარე მოედანსაც ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდოს.

აზრი გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ქეთი ბერძენიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, თემურ ამყოლაძე, ლევან როხვაძე, ბენია თხილავა.

ჩატარდა კენჭისყრა:

ესწრებოდა: 14 წევრი
მომხრე: 12 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი
თავი შეიკავა: 2 წევრი

დადგინდა: საბჭომ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას იუბილის აღვნიშვნის და მისი ბიუსტის დადგმის იდეა მოიწონა. მიმართა მერს საკითხის დამატებითი შესწავლია და შესაბამისი ადგილის გათვალისწინებისათვის.

საბჭოს მიესალმნენ გაეროს განვითარების პროგრამის, კორუფციასთან ბრძოლის პროგრამის წარმომადგენლები: ოლივია ბაკიუ, ანა ვასილაჩე, ნათია ფირაშვილი, რომლებმაც აღნიშნეს ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციის როლი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღების საკითხთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნეს, რომ ქუთაისი არის ერთადერთი ქალაქი საქართველოში, რომელმაც აღნიშნული სტრატეგია დაამტკიცა.

4. **ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტის განხილვა.**
დავით სინაურიძე (ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) წარადგინა გარემოს დაცვის სტრატეგიის პროექტი.
მოსაზრებები გამოთქვეს მოწვეულმა ექსპერტებმა ქეთევან ცხაკაიამ, თეიმურაზ კეპულაძემ, რამაზ კილაძემ და ირინე ლომინაძემ. მათ აღნიშნეს დოკუმენტის მნიშვნელობა, გამოთქვეს რიგი შენიშვნები ცალკეულ

თავებთან დაკავშირებით და შესთავაზეს საბჭოს სტრატეგიის განხილვა გადაედოთ რადგან დოკუმენტი საჭიროებს დამატებით გადამუშავებისა და სრულყოფისთვის.

აზრი გამოთქვეს: ინგა აბრამიძე, ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ქეთი ბერძენიშვილი, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, მეგი ნიჟარაძე, ომარ კიკვიძე, თეონა გოგიშვილი, თემურ ამყოლაძე, ლევან როხვაძე, ბენია თხილავა.

დადგინდა: შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს გარემოსდაცვის სტრატეგიის დახვეწაზე და მომდევნო საბჭოს სხდომაზე მერია მას კვლავ წარადგენს განსახილველად. ჯგუფი დაკომპლექტდება მოწვეული ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ. ჯგუფის მუშაობის ორგანიზება დაევალა საჭოს მდივანს ნუგზარ კოხრეიძეს.

5, 6 მოქალაქეთა ინიციატივები.

ნინო თვალთვაძე (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე) - წარადგინა ინიციატივა, რომ მოსახლეობასთან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში შეხვედრების შემდეგ საბჭომ შეიმუშავოს მოქალაქეთა ინიციატივების ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ასახავს volis.ge, სამოქალაქო ფორუმზე და შეხვედრების დროს მოწოდებულ ინიციატივებს და გადასცემს მერიას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად.

დადგინდა: საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წინადადებას.

7. თეთრი ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მოქალაქეთა რეკომენდაციები შენიშვნები, დოკუმენტის წარდგენა - ნუგზარ კოხრეიძე.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს წევრი) - გადასცა ნინო თვალთვაძეს, ქალაქ ქუთაისის ვიცე მერს მოქალაქეებისგან თეთრ ხიდთან მიმართებით შემოსული შენიშვნებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი. აღნიშნული რეკომენდაციები შეგროვებულია სოციალურ ქსელში მოქალაქეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.
იხილეთ დანართის სახით.

საბჭომ ვერ მოასწრო შემდეგი საკითხების სრულყოფილად განხილვა ქალაქში შექმნილი სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე :

14. სოციალური პროგრამების ანალიზი და რეკომენდაციების პრეზენტაცია - ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი

15. 2019 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების პროექტის გაცნობა საბჭოს წევრთათვის - მომხსენებელი დავით ნიშნიანიძე (საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი).
16. ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფების ფორმირების ინიციატივა - ნუგზარ კოხრეიძე.
17. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების აღსრულების ეფექტურობა და შედეგები - ინიციატორი ქეთევან ბერძენიშვილი.

დადგინდა: საბჭოს მომდევნო სხდომა გაიმართოს 22 დეკემბერს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე